კრონლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მეზრმელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

კვირა, 17 აპრილი, 1949 წ. № 75 (8378). ფასი 20 კაპ.

## დღეს გაზეთში:

ანგარიშგება-არჩევნები სამომხმარებლო კოოპერაციაში — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა (მე-2 გვერდი).
ს. საყვარელიძე — მოწინავეთა გამოცდილების გამოყენებით მოვიყვანთ ყურძნის უხვ მოსავალს (მე-2 გვერდი).
გ. მეფისაშვილი — საკმარისობილო ძაღლებს მეფეს ტემპი უნდა გაძლიერდეს (მე-2 გვერდი).
საქართველოს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკები მხარს უჭერენ ლენინგრადელთა პატრიოტულ თაოსნობას (მე-2 გვერდი).
მ. გორკი — რესპუბლიკის ერთ-ერთი მეფე (მე-3 და მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

## ანგარიშგება-არჩევნები სამომხმარებლო კოოპერაციაში

ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარეობს სამომხმარებლო კოოპერაციის — ცეკავშირის სისტემაში გაერთიანებული მომხმარებელთა საზოგადოებებისა და რაიკოოპკავშირების გამგეობათა და სარევიზიო კომისიების ანგარიშგება-არჩევნები.

საბჭოთა სამომხმარებლო კოოპერაცია ჩვენს ქვეყანაში სერიოზულ საზოგადოებრივ-მასობრივ ორგანიზაციას წარმოადგენს, რომლის მართვა-გამგეობა აგებულია ფართო დემოკრატიულ საწყისებზე. მთელ კოოპერაციულ მეურნეობას მართავენ და განაგებენ მეპაიეები, რომელთაც შექმნეს თავიანი კოოპერატივები იმისათვის, რათა საერთო ძალით და საშუალებებით, როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის, მოაწყონ საბჭოთა ვაჭრობა უკაპიტალისტებოდ, ვაჭრობა უსაკულანტებოდ.

სამომხმარებლო კოოპერაციის ათასობით წევრი მონაწილეობს კოოპერატივის გამგეობათა და სარევიზიო კომისიების საანგარიშო მოხსენებების განხილვაში, მკაცრად აკრიტიკებს მათს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს, ირჩევს გამგეობებისა და სარევიზიო კომისიების ახალ შემადგენლობას, აძლევს მათ განაწყენს შემდგომი მუშაობისათვის.

მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში მოპოვებულ შესანიშნავ წარმატებათა მეოხებით ჩვენს ქვეყანაში განუწყვეტლივ მატულობს მოსახლეობისათვის ფართო სამომხმარებლო საქონლის გამოშვება. ამით შექმნილია საქონელბრუნვის შემდგომი ზრდისა და მოსახლეობის მოთხოვნილების უკეთ დაკმაყოფილების ყველა პირობა, პარტიისა და მთავრობის 1949 წლის 28 თებერვლის დადგენილება 1 მარტიდან მთელი რიგი საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების შემდგომი შემცირების შესახებ საბჭოთა ადამიანებისათვის სტალინური ზრუნვის ახალი გამოხატულებაა.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციას, რომელშიც 620 ათასამდე მეპაიეა გაერთიანებული, ფართო საგაჭრო და საზოგადოებრივი კვების ქსელი აქვს. ომისშემდგომ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საქონელბრუნვა. ცეკავშირმა საცალო საქონელბრუნვაი 1948 წლის გეგმა 103 პროცენტით შეასრულა. მაგრამ სამომხმარებლო კოოპერაციის საქმიანობა განვლილ პერიოდში უნაკლო როდი იყო. ცეკავშირის სისტემაში შემავალმა მთელმა რიგმა რაიკოოპკავშირებმა, რაიკოოპერატივებმა და სოფლის კოოპერატივებმა ჯერ კიდევ ვერ შეძლეს გარდაექმნათ მუშაობა უბარათოდ გაჭრობის მოთხოვნების შესაბამისად, ვერ მიაღწიეს საქონელბრუნვის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადების და შესყიდვის გეგმების შესრულებას, განაგრძობენ ზარალით მუშაობას, ვერ აღმოფხვრეს კოოპერაციული სახსრების გაფლანგვა-დატაცების შემთხვევები.

შარშან საცალო საქონელბრუნვის გეგმის შესრულებაში ჩამორჩნენ ადიგენის, ყაზბეგის და თეთრი წყაროს რაიკოოპერატივები, ხაშურის, დუშეთის, წულუკიძის და დმანისის რაიკოოპკავშირები. სამარცხვინოდ ჩამორჩა ცეკავშირის კოოპკავჭრობაც, რომელმაც საქონელბრუნვის წლიური გეგმა მხოლოდ 57,2 პროცენტით შეასრულა. შეუწყნარებელი უპასუხისმგებლობის შედეგად საქონელბრუნვის კვარტალური გეგმების შესრულება მიმდინარე წელს გარდვევით დაამავრეს მაიაკოვსკის და გარდაბნის რაიკოოპერატივებმა, აფხაზოოპკავშირმა, სამხრეთ ოსეთის საოლქო კოოპკავშირმა, ცხაკაიას, თბილისის და სამტრედიის რაიკოოპკავშირებმა.

განა ცხადი არ არის, რომ ასეთ სერიოზულ ნაკლოვანებათა პირობებში მეპაიეები საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე გამოვლენ სამომხმარებლო კოოპერაციის ზოგიერთ ბედოვლათ მუშაკთა მკაცრი კრიტიკით?

კოოპერაციული ორგანიზაციების მეპაიეთა საუბნო და კოოპერატივებისა და რაიკოოპკავშირების რწმუნებულთა კრებებზე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლას, რაც, უეჭველია, ხელს შეუწყობს საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციაში ჯერ კიდევ არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა გამოაშკარავებასა და ლიკვიდაციას, განამტკიცებს მეპაიეებთან კავშირს.

საანგარიშო-საარჩევნო კრებების პირველი შედეგები მოწმობენ, რომ რაიონების უმრავლესობაში ისინი მიმდინარეობენ მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე, მეპაიეთა დიდი აქტივობით. მცხეთის, სიღნაღის, საგარეჯოს, გორის და მთელ რიგ სხვა რაიონებში მეპაიეთა გამოცხადება საუბნო კრებებზე 90—95 პროცენტს აღწევდა. თვითეულ საუბნო კრებაზე კამათში გამოსულ მეპაიეთა რაოდენობა ზოგან 10 კაცს აღემატებოდა. მოკამათეები მთელ რიგ საქმიან წინადადებებს აყენებენ კრებებზე. მცხეთის რაიონის სოფელ ქსოვრისის მეპაიეთა საუბნო კრებაზე კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ სამომხმარებლო კოოპერაცია ნაკლებად ზრუნავს მაღაზიებში გასაყიდად სასოფლო-სამეურნეო იარაღების მოტანისთვისო. დაბა მცხეთის მეპაიეთა კრებაზე ნ. ლაშხაურმა დამსწრეთა ყურადღება გამახვილა კოოპერაციული ქონების დაცვის საკითხებზე და სასტიკად გააკრიტიკა სარეგიზონო კომისიის ცუდი მუშაობა. საგურამოში მომხმარებლებმა მოითხოვეს აიგოს შენობა მაღაზიისათვის, რომელიც ჯერ კიდევ კერძოდ დაქირავებულ შენობაშია მოთავსებული.

არის მთელი რიგი ფაქტები, რომ მეპაიეთა საუბნო და რწმუნებულთა კრებები მოუმზადებლობის გამო ჩაიშალა. მაგალითად, გარდაბანში რწმუნებულთა რაიონული კრება, რომელიც 3 აპრილს იყო მოწვეული, არ შედგა რწმუნებულთა გამოუცხადებლობის გამო. ახმეტის და ქარელის რაიონებში მეპაიეთა საუბნო კრებები ბევრგან დაბალ დონეზე ჩატარდა მათი წინასწარ მოუმზადებლობის გამო. ეს არ მოხდებოდა, ადგილობრივ ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს რომ გამოეჩინათ ამ კამპანიის წარმატებით ჩატარებისადმი დაინტერესება და კოოპერაციული ორგანიზაციებისათვის ქმედითი დახმარება გაეწიათ.

საანგარიშო - საარჩევნო კრებები გრძელდება. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მოვალეობაა მეტი ყურადღება მიაქციონ ამ დიდმნიშვნელოვან კამპანიას, მეპაიეთა შორის მუშაობის გაშლით მიაღწიონ კრებებზე კრიტიკისა და თვითკრიტიკის უფრო მეტად გაშლას, კოოპერაციის ხელმძღვანელ ორგანოებში დაინტერესებულ, საქმის მცოდნე და შემოწმებულ მუშაკთა არჩევას, რაც ხელს შეუწყობს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობის განმტკიცებას და მისი სამეურნეო საქმიანობის შემდგომ გაუმჯობესებას.

## ჩ ვ ე ნ ს რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა შ ი

### ი. ბ. სტალინის მონუმენტი

**ტყიბული.** (საკ. კორ.). ახალსოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ კანტორის წინ დადგა ი. ბ. სტალინის მონუმენტი. მონუმენტის ირგვლივ შენდება ბაღი.

### საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის მასალები ოსურ ენაზე

**სტალინირი.** (საკ. კორ.). სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობამ ოსურ ენაზე გამოსცა საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის მასალები.

ცალკე წიგნად გამოიცა ამხანაგ კ. ჩარკვიანის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ.

გამოიცა აგრეთვე საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის წერილი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი და საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის რეზოლუცია ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო.

### რაიონისადრანცლაცია კვანძები კოლმეურნეობებში

**გეგეჭკორი.** (საკ. კორ.). სოფელ სალხინოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მოაწყეს 100-ვატიანი რადიოსატრანსლაციო კვანძი. იგი მომსახურებას უწევს 150 წერტ. ასევთვე სამძლავრის რადიოკვანძი აამენეს სოფელ სერგეეთის კოლმეურნეობა „მნათობმა" და ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობამ.

რაიონის ცენტრში თანდათან ფართოვდება რადიოსატრანსლაციო ქსელი. რაიონული ცენტრიდან 14 კილომეტრზე სოფელ დიდიჭყონმადე დამთავრებულია ბოძების დადგმა, მიმდინარეობს ქსელის გაყვანა. რადიოფიცერი მოემსახურება სოფელ ინჩხურის ორჯონიკიძის, ბაქრაძის, შერიზნის, სოფელ გაჭედილის სტალინის, დიდიჭყონის მახარაძის, ბერიას და კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობებს.

რადიოქსელს აწყობენ აგრეთვე სოფელ ხუნწის მოლოტოვისა და ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობები.

### აუთიაქი მეშახვეთათვის

**ახალციხე.** (საკ. კორ.). ახალციხელ მეშახტეთა და ბაზტმშენებელთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ახალციხის სარაიონო აფთიაქმა ქვანახშირის მრეწველობის რაიონში გახსნა ახალი აფთიაქი. აფთიაქი მოთავსებულია ორ დიდ დარბაზში და დაკომპლექტებულია კვალიფიციური ფარმაცევტებით.

### დახმარება მრავალშვილიან და მარჯოხელა დედებს

**თელავი.** (საკ. კორ.). მშრომელთა დეპუტატების თელავის რაისაბჭოს აღმასკომთან არსებულმა მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების სახელმწიფო დახმარების განყოფილებამ შარშან და წელს მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს დახმარების სახით მისცა 567.000 მანეთი. 10 შვილს დედამ მარიამ აბესაძემ უკანასკნელ წლებში სახელმწიფოსაგან 30.000 მანეთი დახმარება მიიღო.



თბილისის დაზგათმშენებელი ქარხანა „დაზგის" ამწყობი ბრიგადირები მ. აბუაშვილი და ვ. არხიპოვი ჩაებნენ საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრეს პირველი მაისისათვის გეგმის გადამეტებით აწყონ 15 დაზგა. სურათზე: ამწყობი საამქროს უფროსი გ. ვაშაძე (მარცხნივ) განმარტავს ანძლევს ბრიგადირებს მ. აბუაშვილს და ვ. არხიპოვს მათ მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების საკითხზე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

### საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება

## ფეიქრები ადიდებენ პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებას

თვალსაჩინო წარმატებებით ეგებება მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულს — პირველ მაისს თბილისის აბრეშუმსაქსოი ფაბრიკის კოლექტივი. ფაბრიკის საქსოვმა საამქრომ უკვე მიაღწია წარმოების ომამდელ დონეს და საგრძნობლად გადააჭარბა გასული წლის მაჩვენებლებს. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გასული წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით ფეიქრებმა 54.000 მეტრით მეტი ქსოვილი მოქსოვეს.

მქსოველთა ბრიგადებში ფართოდ ინერგება ივანოვოელი ფეიქრის ნ. იარიგინას თაოსნობა, რომელმაც ვალდებულება აიღო დაზგების ბრუნვის დაჩქარებით უახლოეს ხანში გადააჭარბოს მოწყობილობის ნაყოფიერების ომამდელ დონეს. მეორე ბრიგადის ქვეოსტატმა კ. მიქაბერიძემ გადაწყვიტა ხუთი პროცენტით გაადიდოს თავისი კომპლექტის დაზგების ბრუნვა და ამასთანავე მაქსიმალურად გაზარდოს პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება. ამხ. მიქაბერიძის ბრიგადამ უკვე მოიპოვა ამ მიმართულებით პირველი წარმატება და ბარტში გამომუშავების ნორმა 116,6 პროცენტით შეასრულა.

უკეთეს საწარმოო მაჩვენებელს მიაღწია ქვეოსტატ მ. დრიამოვის მქსოველთა ბრიგადამ, რომელიც ძვირფასი ქსოვილების — კრეპდეშინის, კრეპ-ჟორჟეტის, კრეპ-პარიზიენისა და ხელოვნური სარეის ქსოვაზე მუშაობს. მარტში ამ ბრიგადამ დაზგების ბრუნვის სისწრაფე 4 პროცენტით გაადიდა და გამომუშავების ნორმა 131,7 პროცენტით შეასრულა, ამასთანავე წინა თვესთან შედარებით 5,5 პროცენტით გაადიდა პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება.

კარგი საწარმოო მაჩვენებლები აქვს ქვეოსტატ ა. ხაჩატუროვის ბრიგადას. მარტში ამ ბრიგადამ გამომუშავების ნორმა 130,4 პროცენტით შეასრულა, ხოლო პირველხარისხოვანი პროდუქცია ბეგმით გათვალისწინებული 47,9 პროცენტის ნაცვლად 69,7 პროცენტამდე გაადიდა.

განსაკუთრებულ წარმატებებს აღწევენ მრავალდაზგრისანი სტახანოველი ფეიქრები ე. ურთაშვილი, ე. მეზრაძე, პ. რზაინინა და სხვები, რომლებიც 30-35 პროცენტით აჭარბებენ პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების გეგმას. სტახანოველმა ე. ურთაშვილმა პირველი აპრილისათვის პირადი ხუთწლიანი გეგმა 100,6 პროცენტით გაანაღდა.

ფაბრიკის მთელი კოლექტივი აქტიურად მონაწილეობს საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში და ეროსულვლად იბრძვის აპრილში უკეთესი საწარმოო მაჩვენებლების მოსაპოვებლად.

## იბრძვიან მეზი მარგანეცისათვის

**ჭიათურა.** (საკ. კორ.). ჭიათურელი მაღაროელები ჩაებნენ საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში და აპრილის გეგმის ვადამდე შესრულება იკისრეს. ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივი, რომელიც სტალინის სახელობის მაღაროს კოლექტივს ეჯიბრება, დღიური დავალებებს 110-115 პროცენტით ასრულებს. წარმატებით მუშაობს ორჯონიკიძის სახელობის მაღაროც, რომელიც სამშობლოს ალვეს მაღალხარისხოვან პეროქსიდებს.

მარგანეცის მრეწველობის წარჩინებული სტახანოველები კ. დავთაძე, პ. ბოყოველი, უ. მაკავარიანი, ა. ძიძიბაძე, ს. ოთინაშვილი, ა. ვაფრინდაშვილი, ვ. ბუღაძე, ი. ხვედელიძე და მრავალი სხვა დავალებას ორმაგად და უფრო მეტად ასრულებენ.

### სპეციალური ზეთის ქარხანა და წისქვილი

**ბურჯაანი.** (სპეც. კორ.). სოფელ კარდანახის კოლმეურნეობა „წითელმა მარანმა" მოაწყო ძლავრი ზეთსახდელი ქარხანა, მოეწყო აგრეთვე წისქვილი, რომელიც დღეღამეში 10 ტონა მარცვალს დაფქვავს. ქარხნისა და წისქვილის მოწყობა ნახევარი მილიონი მანეთი დაჯდა.

### აგიზმხავრული ბრიგადა საგაზაფხულო ხვნა-თესვის სამუშაოებთან დაკავშირებით

საგაზაფხულო სასოფლო - სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობასთან დაკავშირებით ამ დღეებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ - საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის ცენტრალურმა სახლმა მარნეულის რაიონში გაგზავნა აგიტმხატვრული ბრიგადა. კოლმეურნეთა კულტურული მომსახურებისათვის ბრიგადამ წაიღო მოძრავი ბიბლიოთეკა. მოეწყობა საუბრები საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებების, დიდი მეცნიერის — მიჩურინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, საგაზაფხულო ხვნა-თესვის საკითხების შესახებ. აგიტმხატვრული ბრიგადა მიემგზავრება ბოლნისის რაიონშიც.

### კულტურის სახლის რეკონსტრუქცია

**სამტრედია.** (საკ. კორ.). წლების განმავლობაში სამტრედიის რაიონს არ ჰქონდა კულტურის სახლის შესაფერისი შენობა. რაიონის მშრომელთა ეტაპური მონაწილეობით მოხდა არსებული შენობის რეკონსტრუქცია. შენობას აქვს კლუბი კეთილმოწყობილი სცენით და დარბაზი 450-მდე მაყურებლისათვის, აგრეთვე ოთახები წრეობრივი მუშაობისათვის.

კულტურის სახლთან შეიქმნა და ნაყოფიერად მუშაობს სიმფონიანი ორკესტრის, დრამატული, მომღერალთა, ფოტომოყვარულთა, მოცეკვავეთა და მოჭადრაკეთა წრეები.

### კლუბების მშენებლობა

**ქაჯრეთი.** (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში მასობრივად აშენებენ საკოლმეურნეო კლუბებს. სოფელ მელაანის კოლმეურნეობა „ლენინიზმმა" ახლახან დაამთავრა კლუბის მშენებლობა. კლუბი დაიტევს 200 მაყურებელს. აქვე მოთავსებულია სოფლის ბიბლიოთეკა.

საკოლმეურნეო კლუბები ააგეს ზოგელ ჯიმითის ბერიას, კაჭრეთის კიროვის სახელობის და იორამუღანლოს კოლმეურნეობებმა.

წელს საკოლმეურნეო კლუბებს აშენებენ სოფელ ნანიანის ბერიას, არაშენდის ჩხუბიანიშვილის, ორჯონიკიძის, ზნაურის ყდანოვის სახელობის და სხვ. კოლმეურნეობებში.

### აღუმინის ჭურჭელი

**ბოლნისი.** (საკ. კორ.). რაიკოოპკავშირმა დაბა წყალერმი გახსნა საწარმო, სადაც მზა ალუმინისაგან ამზადებენ სხვადასხვა სახის საოჯახო ჭურჭელს. საწარმომ რაიონულ კოოპერაციას უკვე სარეალიზაციოდ ჩააბარა 150 ათასზე მეტი ცალი საოჯახო ჭურჭელი.

## ციგრუსები სამხრეთ ყაზახეთში

**ალმა-ატა,** 15 აპრილი. (საკეცი). ყაზახეთის სამხრეთ ოლქებში დაიწყს სუბტროპიკული და ციტრუსოვანი კულტურების გაშენება. კოლმეურნეობები გაშენდება 20 ჰექტარი ნუში, 4 ათასამდე ძირი კაკალი. ფართოვდება ლიდეიანა და ბრიწეულის რგვა. ემზადებიან ადგილობრივ პირობებში აკლიმატიზებული ახალი ათონის ლიმონის რგვისათვის.

ყინვაგამძლე ციტრუსოვანი კულტურების გამოსაყენებლად დიდ მუშობას ეწევიან ბოსტანდიკის საცდელი მინდვრის მეცნიერი თანამშრომლები. ახლა აქ მომდინარეობს ციტრუსების რგვა. კაკასიიდან და ყირიმიდან შემოზიდეს ლიმონის, ჩაის, დაფნის, ლიმბარდიის თხილისა და სხვა კულტურების თესლი და ნერგი. უახლოეს ხანში აზერბაიჯანის მრავალწლიან მეცნიერთა ინსტიტუტიდან მიიღებენ ზეთისხილის თესლს, ლეღვის, ბოროწეულისა და ნუშის კალმებს. საბჭოთა მეურნეობა „კრასნოდარჩაისაგან" მიღებული იქნება ყინვაგამძლე ჯიშის ჩაის თესლი.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის გახსნისათვის

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია გაიხსნება ამა წლის 18 აპრილს, საღამოს 8 საათზე, გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრის შენობაში.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების რეგისტრაცია იწარმოებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველობაში 17 აპრილს დილის 10 საათიდან საღამოს 10 საათამდე და 18 აპრილს დილის 10 საათიდან საღამოს 5 საათამდე.**

## საბჭოთა კავშირის გმირის წოდების დაწესების 15 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება

15 აპრილს მოსკოვში შედგა საზეიმო სხდომა, მიძღვნილი წარჩინების უმაღლესი ხარისხის — საბჭოთა კავშირის გმირის წოდების დაწესების 15 წლისთავისადმი.

ფრუნზეს სახელობის ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის ცენტრალურ სახლში შეიკრიბნენ მფრინავები, ავიაციის მუშაკები, ავიაციის ხელშეწყობი საკავშირო ნებაყოფლობითი საზოგადოების აქტივი. შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ საბჭოთა კავშირის პირველი გმირების — მფრინავების ლაპიდევსკის, მოლოკოვის, კამანინის, ალეპანოვის, დორონინისა და ჩელუსკინის სახელოვანი ეპოპეის მონაწილეთა გამოჩენას დარბაზში.

მოხსენება, საბჭოთა კავშირის გმირის წოდების დაწესების 15 წლისთავის შესახებ გააკეთა პოდპოლკოვნიკმა კ. ი. შიშკინმა.

— საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, — ამბობს იგი, — განუყოფლად დაკავშირებულია საბჭოთა ადამიანის უსაზღვრო სიყვარულთან თავისი დედა-სამშობლოსადმი, საბჭოთა პატრიოტიზმთან, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში ახალი ადამიანის იდეური ზრდასთან.

მოხსენების შემდეგ საბჭოთა კავშირის გმირებმა ამხანაგებმა ლაპიდევსკიმ, სლეპნოვმა და კამანინმა დამსწრეთ გაუზიარეს თავიანთი მოგონებანი.

კრების მონაწილეებმა განსაკუთრებული აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

* * *

შეკრებილთა საყოველთაო ყურადღება მიიქცია ჩელუსკინელთა გადარჩენის გმირული ეპოპეის 15 წლისთავისა და საბჭოთა კავშირის პირველი გმირებისადმი მიძღვნილმა გამოფენამ. გამოფენაზე ექსპონირებულია იმ ისტორიული თვითმფრინავთა მოდელები, რომლებითაც გმირმა მფრინავებმა ჩელუსკინელები გამოიყვანეს ყინულთა ტყვეობიდან, ჩრდილოეთის საზღვაო გზის რუკა და ბანაკის განლაგებაში გმირი მფრინავების გაფრენის ტრასები, დოკუმენტალური ფოტოგრაფიები და იმ დაუვიწყარი დღეების გაზეთები. (საკეცი).

## ხვნა-თესვა კოლმეურნეობებში

### (საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 15 აპრილის ცნობებით)

აპრილის მესამე ხუთდღიურში კოლმეურნეობებმა საგაზაფხულოდ მოხნეს 36.191 ჰექტარი. სულ 15 აპრილისათვის 204.956 ჰექტარია მოხნული. გეგმა შესრულებულია 59,2 პროცენტით. დავალება წარმატებით არის შესრულებული 9 რაიონში, მათ შორის ქლეხორის, წითელწყაროს, წალენჯიხის, წულუკიძის, გარდაბნის და სხვა რაიონებში. მოწინავეთა რიგებში არიან აგრეთვე (გეგმა 80-ზე მეტი პროცენტით აქვთ შესრულებული) აფხაზეთის ასს რესპუბლიკა და აბაშის, ცხაკაიას, გეგეჭკორის, ზუგდიდის, ჩხოროწყუს, ჩოხატაურის, ფოთის, სამტრედიის, ვანის, მაიაკოვსკის, ახალციხის, გურჯაანის, სიღნაღის, თელავის, ახმეტის, მცხეთის, მარნეულის, ბოლნისის რაიონები. აპარის ასს რესპუბლიკაში ხვნის გეგმა 12,3 პროცენტით არის შესრულებული, ხაშურის რაიონში — 14,8 პროცენტით.

კოლმეურნეობებმა აპრილის მესამე ხუთდღიურში 36.030 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები დათესეს, სულ კი დათესილია 90.231 ჰექტარი, გეგმის 17,5 პროცენტი. თესვაში წინ არის წითელწყაროს რაიონი, დავალება შესრულებული აქვს 62,5 პროცენტით (დათესა 6.734 ჰექტარი). თბილისის, ყვარლის, სიღნაღის, ქარელის, ჩხარის, თელავის, გარდაბნისა და ახმეტის რაიონებში გეგმა შესრულებულია 40-57,4 პროცენტით.

თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესვის რესპუბლიკური დავალება 24,8 პროცენტით არის შესრულებული. აპრილის მარტო მესამე ხუთდღიურში დათესილია 5.057 ჰექტარი. გეგმა შესრულებულია ქლეხორის (330 პროცენტით), კასპის, გურჯაანის, კაჭრეთის, ყვარლის, მცხეთის, ბოლნისისა და ლაგოდეხის რაიონებში.

შაქრის ჭარხლის თესვის რესპუბლიკური დავალება 85,7 პროცენტით არის შესრულებული, დათესილია 5.144 ჰექტარი. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში თესვის გეგმა შესრულებულია 40,5 პროცენტით, ქარელის რაიონში — 99,3, გორის — 95,6, ხაშურის — 87,4, კასპის რაიონში — 87,2 პროცენტით,

# სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ვ. ბ. გოგუამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით ორდენები და მედლები გადასცა ქ. თბილისის მსწავლელთა მრავალრიცხოვან ჯგუფს, რომელნიც დაჯილდოებული არიან ნამსახურობისა და უმწიკვლო მუშაობისათვის.

მაღალი ჯილდო — ლენინის ორდენი მიიღეს მსწავლელებმა, რომლებსაც სკოლაში უმეტესად ოცდაათი წელი და მეტი: ტ. მ. ბუიღლიშვილმა, ბ. მ. ვარდიაშვილმა, ბ. დ. ლაბარტყავამ, ლ. ს. შატბერაშვილმა, ს. ზ. სამადაშვილმა, ა. ს. მუჯირიმა, ბ. ყ. შავდიამ, ა. თ. შვანგირაძემ, ე. ს. გიორგობიანმა, ე. გ. ჩარკვიანმა, გ. ო. ავაქიანმა, მ. რ. ვახვახიშვილმა-ფურეთელმა, ა. დ. ორნანტაძემ, ბ. ს. მჭედლიძემ, ი. ლ. ბახტაძემ, ო. გ. კლუშინსკაიამ, ა. კ. ხუსივაძემ, ნ. დ. კასრაძემ, ა. ბ. აივაზიანმა, ნ. ი. ბოცვაძემ, ლ. ი. დაშკევიჩმა, შ. ს. მხეიძემ, დ. დ. პარკაძემ, ა. პ. ახალდიანმა-ასათიანმა, მ. მ. ბალაბჩიოვაძემ, ე. ნ. ვესელოვსკაიამ, თ. ლ. ხელაშვილმა, ბ. ქ. კირიაკოვამ, ა. ტერ-გევონდიანმა, ა. რ. ღვინიაშვილმა, მ. რ. ღვინიაშვილმა, ქ. ყ. შავდიამ, მ. გ. მელქუმიანმა, მ. მ. ხატიაშვილმა, ო. ი. შენგელიამ, ნ. ი. დეკანოზიშვილმა, ვ. ბ. ოიმურიამ, ს. ი. მალიანმა, ი. ქ. ქარუმიძემ, ე. ვ. ყურაშვილმა, ო. ი. შუშანიამ და სხვებმა, სულ 208 კაცმა.

შრომის წითელი დროშის ორდენი მიიღეს: მ. ი. ბურჭულაძემ, ტ. რ. გვარამაძემ, დ. ე. კუხალეიშვილმა, ს. ბ. ჩიგოგიძემ, ა. კ. ჯიქიამ, ქ. გ. კეკელიძემ, ა. ვ. თამბიკაშვილმა, ს. ს. ახვლედიანმა, ქ. კ. ჩიჩუამ, დ. ი. კანანოვმა, ქ. ი. თოხაძემ, ქ. ს. ვადაკორიამ, ე. ქ. ნუმენკომ, ი. გ. სურგულაძემ, ი. ს. კუკავაძემ, თ. ი. მაღრაძემ, ს. თ. ბერეგიძემ, მ. ი. მახარაძემ, ი. გ. კარახანოვმა, ბ. ს. იწყირველმა, ე. ა. ინგოროყვამ, ი. ს. ქარცივაძემ, მ. ზ. მამფორიამ, ი. ა. ზტეინბერგმა, ქ. მ. ხინთიბიძემ და სხვებმა, სულ 121 კაცმა.

„სპპტტორ ნიშნის“ ორდენი გადაეცა თ. მ. მთაიშვილს, თ. პ. თოვმაიშვილს, ქ. ვ. ჩიკვაიძეს, მ. მ. აბაშმაძეს, ი. ბ. დავთიანს, თ. ა. სუმაროკოვს, ი. ი. ფერაძეს, ი. ს. მარკოსიანს, ვ. ი. მოშკადიანს, კ. ო. თევზაძეს, ბ. ბ. აბაშიძეს, დ. ს. ჭყონიას, ი. მ. ბოლეიშვილს, ს. გ. მეგრელიშვილს, ტ. ე. ტყემალაძეს, პ. ნ. ძიგგაშვილს, რიზა ყული ისმაილ-ოღლი ახუნდოვს, ა. ს. ამიანს, ე. ი. ლებედევას, ბ. გ. ბარამიძეს, მ. ს. ნოზაძეს, მ. ი. ურომაძეს და სხვებს, სულ 146 კაცს.

მედალი „შრომითი მამაცობისათვის“ მიიღო 49 კაცმა, მედალი „შრომითი წარჩინებისათვის“—47 კაცმა.

ამხ. ვ. ბ. გოგუამ გულთბილად მიუღოცა დაჯილდოებულთ ორდენებისა და მედლების მიღება და მოკლე სიტყვით მიმართა მათ.

— ჩვენი სკოლის წინაშე, — თქვა ამხ. გოგუამ,—დასმულია დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანა — აღზარდოს კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა ღირსეული თაობა, ლენინ-სტალინის პარტიის, საბჭოთა ხალხის ბელადის დიდი სტალინის უსაზღვრად ერთგულ მუშაკთა თაობა.

ახალგაზრდობამ სკოლაში უნდა მიიღოს კომუნისტური აღზრდა, ყველა საგნის კვალიფრი და ღრმა ცოდნა.

მთელი სასკოლო მუშაობის განუყრელ ნაწილს წარმოადგენს მოსწავლეთა ფიზიკური მომზადება.

სამშუხაროდ, სკოლის ზოგიერთი მუშაკი სათანადოდ არ ზრუნავს მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისათვის, შეცდომით მიიჩნია რა ეს მეორეხარისხოვან საქმედ.

საჭიროა მუდამ გვახსოვდეს, რომ სამშობლო სკოლისაგან მოითხოვს განათლებულ, ფიზიკურად განვითარებულ და ჯანსაღ ახალგაზრდა თაობას, რომელიც მზად იქნება ყოველგვარი სიძნელე გადალახოს კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელმა ამხანაგმა კ. ნ. ჩარკვიანმა საქართველოს კომკავშირის მე-17 ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში ჩვენი რესპუბლიკის სკოლების წინაშე დასახა კონკრეტული ამოცანები სსრ-ს კავშირის პროცესის გაუჯიბესების, სწავლის ხარისხის ამაღლების, საშუალო სკოლის მოსწავლეთა მიერ რუსული ენის დაუფლების საქმეში და სხვ.

ამხანაგ ჩარკვიანის მითითებანი წარმოადგენენ საქართველოს მსწავლებელთა მუშაობის საბრძოლო პროგრამას უახლოესი წლებისათვის.

დარწმუნებული ვარ, რომ პარტიისა და მთავრობის, ჩვენი დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მზრუნველობის პასუხად თბილისის პედაგოგები, ისე, როგორც საბჭოთა მსწავლებლების მთელი მილიონიანი არმია, ღირსეულად გაამართლებენ სამშობლოს ნდობას, ბოლომდე შეასრულებენ მათ წინაშე დასმულ საპატიო და კეთილშობილურ ამოცანებს.

დაჯილდოებულთა სანლელით გამოიდიდენ მსწავლებლები ს. ზ. სამადაშვილი, თ. ა. სუმაროკოვი, ა. თ. შვანგირაძე, ბ. ს. მჭიდლიძე, თ. გ. ქუთათელაძე, მ. ი. მახარაძე, მ. გ. მილქუმიანი და სხვები, რომლებმაც მხურვალე მადლობა გამოთქვეს ბოლშევიკური პარტიისადმი, საბჭოთა მთავრობისა და დიდი სტალინისადმი ბასწავლებლეს და საბჭოთა სკოლაზე მამობრივი მზრუნველობისათვის.

(საქდესი).

## აგიტპროპაგანდისტთა ზონალური თათბირები

**გორი. (საკ. კორ.).** საქართველოს კ. პ. (ბ) გორის რაიკომმა მოაწყო აგიტატორთა, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა და ძირეული პრესის მუშაკთა ზონალური თათბირები. გულდასმით იქნა განხილული საგაზაფხულო ხვნა-თესვაში და საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდის საქმეში აგიტატორთა საქმიანობის საკვანძო საკითხები.

ზონალური თათბირები მაღალ დონეზე ჩატარდა გორში, ატენში, ტყვიავაში, მეჯვრისხეკუა და შინდისში.

# საავტომობილო ქარხნის მშენებლობის ზემპი უნდა გაძლიერდეს

ანალი სტალინური ხუთწლედის მშენებლობათა შორის თავისი სიმძლავრითა და მნიშვნელობით თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ქუთაისის საავტომობილო ქარხანას, რომელიც 1945 წლიდან შენდება. ხუთასზე მეტი ჰექტარი, რომელზეც გიგანტური მუშაობაა გაჩაღებული, ამ ხნის განმავლობაში ვეებერთელა კორპუსებით, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლებით და სხვადასხვა ნაგებობით დაიფარა. საექსპლოატაციოდ გადაცემულია სარემონტო-სამსახეური, სარემონტო-მექანიკური საამქრები, მექანიკურ-ამწყობი კორპუსის მნიშვნელოვანი ნაწილი, თბოვარი საწყობი და სხვ. დღემდე აგებულია 20 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი ორ, სამ და ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლები. გაკეთდა კორპუსებთან მისასვლელი გზები, მათი ნაწილი მოასფალტებულია. მშენებლობა მთლიანად უცვლელს სახე მაღლაკის მიდამოებს და მტკიცე საფუძველი ჩაუყარეს მეავტომობილეთა ახალ სოციალისტურ ქალაქს.

ქუთაისის საავტომობილო ქარხნის აგებაში მონაწილეობენ არა მარტო საქართველოს მშრომელები. ჩვენი ქვეყნის მთელი რიგი მსხვილი მანქანათმშენებელი ქარხნები მისთვის ამზადებენ ურთულეს დაზგებსა და დეტალებს. მაგალითად, მოსკოვის ორჯონიკიძის სახელობის დაზგათმშენებელმა ქარხანამ სპეციალურად ქუთაისის საავტომობილო ქარხნისათვის დაამზადა ავტომატური ხაზი, რომელმაც უნდა დაამუშაოს ავტომობილის მოტორის ცილინდრები. გორკის მანქანათმშენებელი ქარხანა იძლევა ფრეზერის რთულ დაზგებს, ხარკოვის ლენინის სახელობის ქარხანა ამზევ დაზგებს და ა. შ.

ამჟამად ქარხნის საამქროებში, სადაც ასობით დაზგა-დანადგარია დამონტაჟებული, ყოველდღიურად მზადდება ავტომანქანის მთელი რიგი რთული ნაწილები.

მომდინარე წლის მეორე ნახევრიდან ქარხანამ სერიულად უნდა გამოუშვას ავტომანქანის ძრავები, რისთვისაც სერიოზული ღონისძიებანი ხორციელდება. ქარხანას უკვე აქვს 30 პროცენტზე მეტი იმ იარაღ-ხელსაწყოებისა, რაც საჭიროა იქნება საავტომობილო ქარხნის საექსპლოატაციოდ გადაცემისათვის.

ქარხნის საამქროები, რომლებიც ემზადებიან ავტომანქანის გამოშვებისათვის, გაცილებით უკეთ იმუშავებდნენ, თუ ამ საქმეში ადგილობრივ ბელადებს, ბ. ბ. ბ. ... ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. გორკი

# რესპუბლიკის ერთ-ერთი მეფე

...ფოლადის, ნავთის და ყველა სხვა მეფე შეერთებული შტატებისა მუდამ აშფოთებდა ჩემს გონებას. არ შემეძლო ჩვეულებრივ ადამიანებად წარმოვიდგინა ის ადამიანები, ვისაც ესოდენ ბევრი ფული აქვს.

მეგონა, რომ ყოველ მათგანს, სულ მცირე, სამი კუჭი და ასორმოცდათამდე კბილი აქვს. დარწმუნებული ვიყავი, რომ მილიონერი ყოველ დღე, დილის ექვსი საათიდან შუადამემდე, შეუსვენებლივ—ჭამს. იგი ნთქავს ყველაზე ძვირფას საზრდოს: ბატებს, ინდაურებს, გოჭებს, თვის ბოლოკს კარაქიანად, პუდინგს, კექსსა და სხვა გემრიელ რამეებს. საღამოს ყბები ისე ეღლება, რომ საზრდოს ზანგებს აღეკვნებს, თვითონ კი მხოლოდ დაღეჭილს ყლაპავს. ბოლოს, მთლად ეკარგება ენერგია და, გაოფლიანებული, სულმოხუთული, ზანგებს დასაძინებლად მიჰყავთ. დილით კი, ექვსი საათიდან, იგი კვლავ იწყებს თავის დატანჯულ ცხოვრებას.

მაგრამ ძალების ასეთი დაძაბვითაც კი იგი კაპიტალის ნახევარი სარგებლის შეჭმასაც ვერ ახერხებს.

რა თქმა უნდა, ასეთი სიცოცხლე სამძიმოა. მაგრამ—რას იზამ? რა აზრი აქვს მილიონერობას, თუ იმაზე მეტს ვერ შეჭამ, რასაც ჩვეულებრივი კაცი ჭამს?

მეგონა, მილიონერი ფარჩის საცვლებს იცვამს, მისი წოლის ქუსლები მოქედილია ოქროს ლურსმნით, თავს კი, ქუდის ნაცვლად, ბრილიანტებისაგან გაკეთებული რაღაც ხურავს. მისი სერთუკი უძვირფასესი ხავერდისაა, სულ მცირე 50 წყთა სიგრძისა, და მორთულია სულ ცოტა სამასი ცალი ოქროს ღილით. დღესასწაულებში იგი ერთბამად იცვამს რვა სერთუკს და ექვს შარვალს.. რა თქმა უნდა, ეს უხერხულია და შემაწუხებელიც... მაგრამ, როცა ასეთი მდიდარი ხარ, ხომ არ შეიძლება ისე გეცვას, როგორც ყველა სხვას...

მილიონერის ჯიბე წარმოდგენილი მქონდა, როგორც ორმო, სადაც თავიანთ ფულად შეიძლება შეინახო ტაძარი, სენტის შენობა და ყველაფერი, რაც საჭიროა... მაგრამ, თუ ასეთი ჯეინტლმენის მფლობელ ტეგადობა წარმოდგენილი მქონდა, როგორც კარგი საზღვარ გგმის ტრიუმი,—ვერასგზით ვერ წარმოვიდგინე ამ არსების ფეხისა და შარვლის სიგრძე. მაგრამ მეგონა, რომ ზინ სამანი კვადრატულ მილზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. და თუ იგი თამბაქოს ღეჭავს, მაშინ, რასაკვირველია, ღეჭავს საეკეთესოს და ორ-ორ გირვანქას ერთბამად—ხოლო თუ ბუტერნუთს ყნსავს, გირვანქაზე ნაკლები როდი იქნება ერთ მიღებაზე. ფული მოითხოვს, რომ მას ხარჯავდნენ...

მისი ხელის თითებს გასაოცარი ალღო და თილისმა აქვთ—სურველისამებრ დაგრძელდებიან ხოლმე: თუ მან, ნიუ-იორკში მჯდომარემ, იგრძნო, რომ სადმე ციმბირში დოლარი გაზარდა,—ბერინგის სრუტის გაღმა ხელს გაიწვდის და ისე მოწყვეტს საყვარელ მცენარეს, რომ ადგილიდან არ დაიძრას.

უცნაურია, რომ ყოველივე ამასთან ვერ წარმომედგინა, თუ რა სახისაა ამ ურჩხულის თავი. უფრო მეტიც, თავი სრულიად ზედმეტ, რამედ მიმაჩნია მეფყლეებისა და ძვლების ამ მასისათვის, რომელსაც ასულდგმულებს მისწრაფება—ყველაფერს ოქრო გამისწოროს. საერთოდ, ჩემს წარმოდგენას მილიონერზე, დამთავრებული სახე არა ჰქონია. მოკლედ, კი, უწონარეს ყოველსა, იყო გრძელი მოქნილი ხელები. ისინი მოსდებიან მთელ დედამიწას, დიდ, ბნელ ხახასთან მიუტანიათ იგი და ეს ხახა ჩვენს ქლანტის გაუმაძღრობის ნერწყვით ასველებს და წუწნის, ღრენის და ღეჭავს, როგორც შეიწვარ ცხელ კარტოფილს...

წარმოგიდგენიათ ჩემი განცვიფრება, როცა მილიონერს შევხვდი და ვნახე, რომ იგი უაღრესად ჩვეულებრივი ადამიანია.

ჩემს წინ ღრმა სავარძელში იჯდა მაღალი, გამხდარი მოხუცი, რომელსაც ძვეიდად დაეწყო ნორმალური ოდენობის მუცელზე დამშკანარი, მიხაკისფერი, ჩვეულებრივი, ადამიანის ხელისოდენა ხელები. მისი პირის კანი გულდასმით იყო გაპარსული, დაღლილობით დაშვებული ქვემო ჩარჩი აჩენდა კარგად გაკეთებულ ყბებს, რომლებზეც მიჯრილი იყო ოქროს კბილები. ზემო ჩარჩი, გაპარსული, უფერული და თხელი — ძალიცედ მიჭიკრია მის სალეკეკე მანქანას, და როცა მოხუცი ლაპარაკობდა, ტუჩი თითქმის არ ინძრეოდა. მის უფერულ თვალებს ზემოთ წარბები არ ჩახდა, მოლურჯო თავის ქალა მოკლებული იყო თმას. გეგონებოდა, ამ სახეს აკლდა ცოტაოდენი კანი, და მთელი მისი შესახედაობა — მოწითალო, უძრავი და გლუკ—ახალ დაბადებულის სახეს მოგაგონებდა. ძნელი იყო გამორკვევა—ეს არსება თავის სიცოცხლეს იწყებდა თუ უკვე უახლოვდებოდა მის დასასრულს...

ჩაცმულიც ისე იყო, როგორც უბრალო მომაკვდავი. ბეჭედი, საათი და კბილები—აი მთელი ოქრო, რაც მას ჰქონდა. ეს ოქრო, ერთად აღებული, ალბათ, ნახევარ გირვანქაზე ნაკლებს იწონდა. საერთოდ, ეს კაცი ევროპის არისტოკრატული სახლის ძველ მსახურს მაგონებდა...

იმ ოთახის მორთულობა, სადაც მან მიმიღო, ფუფუნებით ვერ გაგოიცებდა, სილამაზით ვერ მოგზიბლავდა. აკეკი მკვიდრი იყო, აი ყველაფერი, რისი თქმაც მასზე შეიძლება.

ალბათ, ამ სახლში ზოგჯერ სპილოები შემოდიან — აი რა აზრის იწვევდა ეს ვეიჯი..

— თქვენ... მილიონერი ხართ?—ვკითხე, რა კი საკუთარ თვალს არ ვუჯერებდი.

— ო, დიახ!—მიპასუხა და რწმენით თავი ჩაიქნია.

თავი ისე მოვაჩვენე, თითქოს მჯეროდა მისი და გადავწყვეტე ერთბაშად გამომეკარავებინა.

— რამდენ ზორკს შეეჯამთ საუზმედ? — ვკითხე მას.

— მე ზორკს არა ვჭამ! — განაცხადა მან, — ერთი ჭეო ფორთოხალი, კვეცხი, პატარა ფინჯანი ჩაი—ეს არის და ეს...

ბავშვის უმანკო თვალები ბუნდოვანად უბრწყინავდა, როგორც მღვრიე წყლის ორი დიდი წვეთი, და მე იქ აღარუოს ნასახსაც კი ვერ ვამჩნევდი.

— კეთილი!—ვთქვი გაკვირვებულმა. —მაგრამ, გამოიჩინეთ გულწრფელობა,—მითხარით გულახდილად, რამდენჯერ ჭამთ დღეში?

— ორჯერ!—მშვიდად მომიგო მან. —საუზმე და სადილი—ეს სრულიად საკმაოა ჩემთვის. საღილად ერთი თეფში წვენი, თეთრი ზორკი და ტკბილი რამ. ხილი. ფინჯანი ყავა. სიგარი...

ჩემი გაოცება გოგრის ზრდის სასწრაფოთ მატულობდა. იგი წმინდანის თვალით მიცქეროდა. სული მოვთქვი და ვკითხე

— მაგრამ, თუ ეს მართალია,—მაშინ რას უშვრებით თქვენს ფულს?

მან ოდნავ აიჩეჩა მხარი, თვალები აახამხამა და მიპასუხა:

— ფულით კიდევ ფულს ვაკეთებ....

— რისთვის?

— რომ კიდევ ფული გავაკეთო...

— რისთვის?—გავიმეორე.

იგი ჩემსკენ გადმოიხარა, სავარძლის სახელურებს იდაყვებით დაეყრდნო და ერთგვარი ცნობისმოყვარეობის იერით მკითხა:

— თქვენ გიჟი ხართ?

— თქვენ?—კითხვითვე მივუგე.

მოხუცმა თავი დახარა და ოქროს კბილებში ჩაილაპარაკა:

— კარგი ბიჭია... შესაძლებელია, პირველად ვხედავდე ამისთანას...

ამის შემდეგ თავი ასწია, ჩარბები ყურებამდე მიიტანა და მდუმარედ დაიწყო ცქერა. მისი წყნარი სახის მიხედვით, იგი, ალბათ, თავს სრულიად ნორმალურ კაცად თვლიდა. მის ჰალსტუკში პატარა ბრილიანტიანი ქინძისთავი შევამჩნიე. ეს ძვირფასი თვალი რომ ქუსლისოდენა ყოფილიყო, კიდევ რასმე გავიგებდი.

— მერმედა რას აკეთებთ?—ვკითხე მე.

— ფულს ვაკეთებ!—მოკლედ თქვა და მხრები აიჩეჩა.

— ყალბი ფულის მკეთებელი!—სიხარულით წამოვიძახე. მეგონა, საიდუმლოს გამოცნობას მივუახლოვდი. მაგრამ ამ დროს მან წყნარი სლოკინი დაიწყო. მთელი სხეული უძაგძაგებდა, თითქოს უჩინარი ხელი იღლიაში უღიტინებსო. თვალებს მალიმალ აფახურებდა.

— სასეიროა!—თქვა მან, დამშვიდდა და კმაყოფილად დამიწყო ცქერა სახეში.—კიდევ ჭითხეთ რამე!—წინადადება მომცა და რატომღაც ლოყები დაბუშტა.

მოვიფიქრე და მტკიცედ ვკითხე: —

— ფულს როგორ აკეთებთ?

— ა! მესმის!—თქვა ძან და თავი ჩაიქნია.—სულ უბრალოდ. მე რკინაგზები მაქვს. ფერმერები საქონელს ამზადებენ. მე კი საქონელი ბაზრებზე გამაქვს. გამოიანგარიშებ, რამდენი ფული უნდა დაუტოვო ფერმერს, შიმილითთ რომ არ მოკვდეს და კვლავ იმუშაოს, დანარჩენს მიიღებ, როგორც გადატანის ტარიფს. ძალიან მარტივი საქმეა.

— ფერმერები ამით კმაყოფილი არიან!

— მგონი, ყველა არა!—ბავშვური მიამიტობით თქვა მან.—მაგრამ, ამბობენ, ყველა ადამიანი არაფრით და არაესოდეს არ შეიძლება კმაყოფილი იყოსო. მუდამ არიან ახირებულნი, რომლებიც ბუზღუნებენ...

— მთავრობა ხელს არ გიშლით?—მოკრძალებით ვკითხე.

— მთავრობა?—გაიმეორა მან, ჩაფიქრდა და შუბლზე ხელი მოისვა. შემდეგ, თითქოს რაღაც გიახსენო, თავი ჩაიქნია.—აჰა... ისინი... ვამინგტონში რომ არიან? არა, ისინი ხელს არ მიშლიან. ისინი ძალიან კეთილი ხალხია... მათ შორის არიან ზოგიერთნი ჩემი ლეტენდან. მაგრამ მათ ეშვიათად ხედავ... ამიტომ ზოგჯერ კიდევაც გავიწყდებიან. არა, ისინი ხელს არ მიშლიან, —გაიმეორა და მყისვე ცნობისმოყვარეობთან მკითხა:

— განა არიან ისეთი მთავრობანი, რომლებიც ხელს უშლიან ადამიანებს ფულის კეთებაში?

დარცხვენა ვიგრძენი ჩემი მიამიტობისა და მისი სიბრძნის გამო.

— არა,—წყნარად ვთქვი,—მე ამაზე როდი... იცით, რა, მგონია, რომ ზოგჯერ მთავრობამ უნდა აკრძალოს აშკარა ძარცვა...

— ეე—ე!—შემესმა ყვავ იგი.—ეგ ფიდელიზმია. ეგ აქ მიღებული როდია. მთავრობას უფლება არა აქვს ჩაერიოს კერძო საქმეებში...

ჩემი მოკრძალება ძლიერდებოდა ბავშვის ამ შვიდი სიბრძნის წინაშე.

— მაგრამ განა ერთი კაცის მიერ ბევრის გაძარცვა კერძო საქმეა? — ზრდილობიანად შევეკითხე.

— გაძარცვა? — გაიმეორა მან და თვალები დააჭყიტა. — გაძარცვა ის არის, როცა მუშახელი ძვირია. და როცა გაფიცვაა. მაგრამ ჩვენ გვყავანან ემიგრანტები. ისინი მუდამ ამცირებენ მუშათა ხელფასს და ხალისით იკავებენ გაფიცვიანთა ადგილს. როცა ისინი ჩვენს ქვეყანაში იმდენი დაგროვდებიან, რომ იაფად იმუშაონ და ბევრი იყიდონ,—ყველაფერი კარგად იქნება.

იგი ოდნავ გამოიცოცხლდა და უკვე ნაკლებ ეშსგავსებოდა ერთ სახედ ქცეულ მოხუცსა და ბავშვს. ამოძრავდნენ მისი ჭვრილი მუქი თითები და მშრალი ხმა უფრო ახმაურდა ჩემს ყურებში.

— მთავრობა? ეს საინტერესო კითხვა უნდა იყოს, დიახ, კარგი მთავრობა საჭიროა. იგი გადაწყვეტს ასეთ საკითხებს: ჩვენს ქვეყანაში იმდენი ხალხი უნდა იყოს, რამდენიც მესაჭიროება იმისათვის, რომ იყიდოს ჩემგან ყოველივე, რისი გაყიდვაც მსურს. მუშები იმდენი იყვნენ, რომ მე არ მაკლდეს. მაგრამ—არცერთი ზედმეტი! მაშინ სოციალისტები აღარ იქნებიან. არც გაფიცვები, მთავრობამ დიდი გადასახადები არ უნდა აიღოს. ყველაფერს, რისი მოცემაც ხალხს შეუძლია—მე თვითონ ავიღებ. აი რას ვეძახი მე—კარგ მთავრობას.

— ეს სისულელეს ამყოვნებს,—რაც თავიანი სიდიადის შეგნების უეცველი ნიშანია,—გავიფიქრე მე.—მგონი მარილაც მეფეა...

— მე მინდა,—განაგრძო მან რწმენითა და მტკიცედ,—რომ ჩემს ქვეყანაში წესრიგი იყოს. მთავრობა ცარე ფასად ქირაობს სხვადასხვა ფილოსოფოსს, რომლებიც ყოველ კვირაფიქრ სულ მცირე რვა საათს ასწავლიან ხალხს კანონებისადმი პატივისცემას. თუ ამისათვის ფილოსოფოსები საკმაონი არ არიან—ჯარისკაცები აამოძრავეთ. აქ მნიშვნელოვანია არა საშუალება, არამედ მხოლოდ შედეგი. მომხმარებელი და მუშა ვალდებული არიან პატიჟი სცენ კანონებს. მორჩა და გათავდა!—დაამთავრა მან და თითები ათამაშა.

— არა, ეს უჭკუო როდია,—არა მგონია მეფე იყოს! — გავიფიქრე და ვკითხე: — ახლანდელი მთავრობით კმაყოფილი ხართ?

ერთბაშად როდი მიპასუხა.

— იგი ნაკლებს აკეთებს, ვიდრე შეუძლია. მე ვამბობ: ჯერჯერობით ემიგრანტები უნდა შემოუშვათ ჩვენს ქვეყანაში. მაგრამ ჩვენ გვაქვს პოლიტიკური თავისუფლება, რომლითაც ისინი სარგებლობენ, — ამისათვის საჭიროა ფული გადაიხადონ. დე, თვითეულმა მათგანმა თან მოიტანოს 500 დოლარი. კაცი, რომელსაც 500 დოლარი აქვს, ათჯერ უკეთესია იმაზე, ვინაც მხოლოდ 50 დოლარი აქვს... ცუდი ადამიანები — მაწანწალები, ღარიბები, ავადმყოფები და სხვა ზარმაცები არსად საჭირონი არ არიან.

— კი, მაგრამ ეს ხომ შეამცირებს ემიგრანტების შემოსვლას... შევნიშნე მე.

მოხუცმა დასტურის ნიშნად თავი დაიქნია.

— მოცა დრო და წინადადებას შევიტან — სრულიად დაიუბნინ მთ კარი ჩვენს ქვეყანაში... ჯერჯერობით კი, დე, თვითეულმა შემოიტანოს ცოტაოდენი ოქრო... ეს სასარგებლოა ჩვენი ქვეყნისათვის. შემდეგ, საჭიროა გადიდებულ იქნას სამოქალაქო უფლებათა მიღების ვადა. შემდეგში კი ეს სრულიადაც უნდა მოისპოს. დე ამათ, ვინაც სურს იმუშაოს ამერიკელებისათვის — იმუშაონ, მაგრამ მათ სრულიადაც არ უნდა მიეცეთ ამერიკელ მოქალაქეთა უფლებანი. ამერიკელები საკმაოდ არიან. ყოველ მათგანს თვითონ შესწევს უნარი იზრუნოს იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა მატულობდეს. ყოველივე ეს მთავრობის საქმეა. საჭიროა იგი სხვანაირად დაისვას. მთავრობის წევრები ყველა უნდა იყოს სამრეწველო საწარმოს აქციონერი,—მაშინ ისინი უფრო მალე და ადვილად გაიგებენ ჩვენი ქვეყნის ინტერესებს. ახლა მე სენატორები უნდა მოვიისყიდო, რათა დავარწმუნონ ისინი, რომ ჩემთვის საჭიროა... სხვადასხვა წერილშანი. მაშინ კი ეს ზედმეტი იქნება...

მან ამოიოხრა, ფეხი გაიქნია და დასძინა:

— ცხოვრებას სწორად ხედავ მხოლოდ ოქროს გორიდან.

ახლა, როცა მისი პოლიტიკური შეხედულება საკმაოდ ნათელი იყო, მე ვკითხე:

— რელიგიაზე კი რას ფიქრობთ?

— ო! — წამოძახა მან, მუხლზე ხელი დიაკრა და წარბები ენერგიულად აამოძრავა.—ძალიან კარგს ვფიქრობ! რელიგია ხალხისათვის აუცილებელია, მე გულწრფელად მჯერა ეს! და თვითონაც კი კვირობით ვქადაგობ ხოლმე ეკლესიაში... დიახ, როგორ არა!

— მერმე რას ქადაგობთ?—ვკითხე მე.

— ყველაფერს, რისი თქმაც ეკლესიაში ქეშმარიტ ქრისტიანს შეუძლია, ყველაფერს!—რწმენით თქვა მან.—მე, რა თქმა უნდა, ღარიბ მრეგვში ვქადაგობ — ღარიბებს მუდამ ესაჭიროებათ კეთილი სიტყვა, მამობრივი დარიგება... მე მათ ვეუბნები...

წუთით მისმა სახემ ბავშვური გამომეტყველება მიიღო, მაგრამ მყისვე ტაკიცედ მოკუმა ტუჩი და თვალი ბერს მიაპყრო, სადაც ამერიკი მოკრძალებით ფარავდნენ ოორკმირული ღორის ვარდისფერკანიანი. მსხვილი ქალების შიშველ ტანს. მისი უფერული თვალების სიღრმეში ჩიხატა ბერის ფერების სიცრელე და ნაირფერი ნაპრწყლებით გაბრწყინდა. მან წყნარად დაიწყო:

— ქრისტეს მიერ ძმანო და დანო! არ გაიდღუნო მოშურნეობის მოროტი ეშმაკის მთაგონებამ, განირიდეთ ყოველი მიწიერი. წუთიერია ამქვეყნიური სიცოცხლე: კაცი ახლოდან ოორკოვ წლამდეა კარგი მუშაკი, ორმოცი წლის შემდეგ მას უკვე ფაბრიკაში აღარ იღებენ, ცხოვრება ვერაგია. თქვენ მე მეუმთბთ, — საკმაოა ხელი ისე არ იხმარო და — მანქანა ძალს დაგინჩქვაკს,—ბზის დაკერა—და მორჩა! თქვენ ყველგან გითვალთვალებენ ავადმყოფობანი, ყველგან უბედურებაა! ღარიბი კაცი ემსგავსება ბრმას მაღალი სახლის სახურავზე, —საითაც უნდა წავიდეს, გადავარდება და დაიმტვრევა, როგორც ამბობს მოციქული იაკობი, ძმა იუდა მოციქულისა. ძმანო! ფასი არ უნდა დასდოთ ძიწიერ ცხოვრებას, იგი ეშმაკის, სულთა წარმტაცის ქმნილებაა. მეუფეები თქვენი, ო, ქრისტეს მიერ საყვარელნო შვილნო, ამქვეყნიური ოოკოდია, ისე როგორც მეუფეები ამმისა თქვენისა,—იგი ზეცაშია. და თუ მოთმენითო, უჩივლელად, უდრტვინველად, წყნარად დაამთავრებთ ამქვეყნიურ გზას, იგი მიგიღებთ სასუფეველს ავარაკებში და დაგაჯილდოებთ სამარადისო ნეტარებით ამქვეყანაზე გაწეული შრომისათვის. ეს ცხოვრება ძხოლოდ ‹განსაწმედელია თქვენი სულისათვის, და რაც უფრო მეტს იტანჯავთ ამ, მით უფრო მეტი ნეტარება მოგელით იქ,—როგორც თვით მოციქულმა იუდამ თქვა.

მან ხელი გაიშვირა ჭერისაკენ, ჩაფიქრდა და ცივად და მტკიცედ განაგრძო:

— დიახ, ძვირფასო ძმანო და დანო! მთელი ეს ცხოვრება ფუჭი და არარაობაა, თუ მსხვეპლად არ შეეწირავთ მას მოყვასისადმი სიყვარულს, ვინც უნდა იყოს იგი. ნუ დაუთმობთ გულს მოშურნეობის სატანის ძალუფლებას! აბა რას უნდა შეეშურდეთ ამქვეყნად! მიწიერი სიკეთე მოჩვენებაა, ეშმაკის სათამაშოა. ჩვენ ყველანი მოგვცდებით —მდიდრებიც და ღარიბებიც, მეფეებიც და მაღაროელებიც, ბანკირებიც და ქუჩის მწმენდელებიც. სასუფეველს ვრილ ბალებში, შესაძლოა, მაღაროელები მეფეები გახდნენ, ხოლო მეფემ ეგზებში დაცვენილი ფოთოლი და იმ ტკბილეულის სახვეი ქაღალდი ჰგავოს ზეცაში, რომლითაც ყოველ დღე ისაზრდოებთ. ძმანო! რა უნდა ისურვო ამ ქვეყნად, ცოდვის ამ ულრან ტყეში, სადაც სული უმწეო ბავშვივით დაეხეტება? შედით სასუფეველში სიყვარულისა და შიმშილის გზით, მორჩილად გადაიტანეთ ყოველივე, რაც ბედს თქვენთვის ურგებია. გიყვარეთ ყველა და თქვენი დამამცირებელიც კი...

მან კვლავ დახუჭა თვალები, სავარძლში შეირხა და განაგრძო:

— ნუ უსმენთ იმათ, ვინც თქვენს გულში აღაგზნებს მოშურნეობის ცოდვიან გრძნობას, ვინც გიჩვენებთ ზოგიერთის სიღარიბესა და სხვათა სიმდიდრეს. ეს ადამიანები ეშმაკის მოციქულები არიან, უფალი გეკურძალავს, ეჰ შეგშურდეთ ძოყვასისაო. მდიდრებიც ღარიბები არიან, ისინი ღარიბები არიან მათდამი სიყვარულით. შეიყვარეთ მდიდარი, ვინაიდან იგი რჩეული ღვთისა!—შესძახა იუდამ, ძმამ უფლისამ, ტაძრის მეგდელთმთავარმა. ნუ უსმენთ ერთობისა და ეშმაკის სხვა ნაზრახთა ქადაგებას. რას ნიშნავს თანასწორობა აქ, დედამიწაზე? ეცადეთ ახლოდან ერთმანეთს გაუთანასწორდეთ გულის სიწმიდით თქვენი ღვთის წინაშე. მოთმინებით იტვირთეთ ჯვარი თქვენი, და მორჩილება შეგიმსუბუქებთ ამ ტვირთს. თქვენთანაა არს ღმერთი, შეიღნო ჩემნო, და თქვენ მეტი არა გინდათ რა!

მოხუცი გაჩერდა, პირი ფართოდ გააღო, ოქროს კბილები გამოაჩინა და ზეიმით შემოხედა.

— თქვენ კარგად სარგებლობთ რელიგიით!—შეეწინააღ მე.

— ო, დიახ! მე ვიცი მისი ფასი,— თქვა მან.—ვამეორებ—რელიგია საჭიროა ღარიბებისათვის. მე იგი თომწოს. დედამიწაზე ყველაფერი ეშმაკს ეკუთვნისო, ამბობს რელიგია. ო, ადამიანო, თუ გსურს იცხოონ სული, ამქვეყნად ნურაა ინატრეთ და ნურც შეეხები რასეე. ცხოვრებით დატკბები სიკეთილის შემდეგ—ზეცაში ყველაფერი შეგთვლესა! როცა ადამიანებს ეს სწამთ—მათთან ადვილია საქმის დაჭერა. დიახ. რელიგია ზეთია. რაც უფრო უხეად წაკეხებთ მას ცხოვრების მანქანას, მით უფრო ნაკლები იქნება ნაწილთა ხახუნი, მით უფრო ადვილია მემანქანის ამოცანა...

— დიახ, იგი მეფეა, გადავწყვიტე მე და მოკრძალებით ვკითხე ამ ამაღწინანდელი მეოოროს შთამომავალს:

— თქვენ კი თავი ქრისტიანად მიგაჩნიათ?

— ო, დიახ, რასაკვირველია!—წამოიძახა მან სრული რწმენით.—მაგრამ, —ხელი აღმართა და დამაჯერებლად თქვა:—მე ამავე დროს ამერიკელი ვარ და, როგორც ასეთი, მკაცრი მორალისტი...

მისმა სახემ დრამატული გამომეტყველება მიიღო: ტუჩი ჩამოუშვა და ყურები ცხვირისაკენ მისწია.

— რისი თქმა ვნებავთ!...—ხმადაბლად შეეკითხე.

— ეს ხელ შორის დარჩეს.—წყნარად გამაფრთხილა მან.—ამერიკელს არ შეუძლია ქრისტე იწამოს!

— არ შეუძლია?—ჩურჩულით შეეკითხე ოდნავი სიხუმის შემდეგ.

— რასაკვირველია, არა! — ჩურჩულითვე დამიდასტურა.

— მერმე რატომ?—ოდნავი დუმილის შემდეგ ვკითხე.

— ქრისტე უკანონოდშობილია! — მოხუცმა თვალი ჩამიკრა და მიმოიხედა. ვესმით? ამერიკაში უკანონოდშობილი არ შეიძლება არა თუ ღმერთი, არამედ მოხელეც კი იყოს. მას არსად არ მიიღებენ წესიერ საზოგადოებაში. მას არცერთი ქალიშვილი ცოლად არ გაჰყვება. ო, ჩვენ მეტად სასტიკი ვართ! ხოლო ქრისტე რომ გვეწყინა — მაშინ ყველა უკანონოდშობილი წესიერ ადამიანებად უნდა მიგვიჩნია... თუნდაც ისინი ზანგისა და თეთრის შეილები ყოფილიყვნენ. წარმოიდგინეთ, რა საშინელებაა ეს! ა?

ალბათ, ეს მართლაც საშინელება იყო — მოხუცს თვალები გოოშმწვანდა და რგვალი გაუხდა. როგორც ჭოტს. მან ძლივს აიზიდა ქვემო ჩარჩი და მტკიცედ დაიკარა კბილებს. ალბათ, ფიქრობდა, რომ ეს გრძნობანი მის სახეს უფრო შთაბეჭდილების მომგვრელსა და მკაცრს გახდიდა.

— ზანგი კი თქვენ არავითარი გზით არ შეგიძლიათ კაცად მიიჩნიოთ?—მინდოდა შემეტყო დემოკრატიული ქვეყნის მორალით დახაგლინებულს.

—აი გულუბრყვილო ადამიანი!—სინანულით წამოძახა მან.—ზანგები ხომ შავები არიან! და ცუდი სუნი სდით. ჩვენ ლინჩის წესით ვასამართლებთ ზანგს, როგორც კი შეეიტყობთ, რომ იგი თეთრთან ცხოვრობდა, როგორც ცოლთან. მაშინვე თოკი ყელში და ხეზე... დაუყოვნებლივ! ჩვენ ძალიან მკაცრი ვართ, თუ საქმე მორალს ეხება...

ახლა იგი ისეთ რიდს მაგრძნობინებდა, რასაც უნებურად კარგა ხნის გარდაცვალებულისადმი გრძნობ. მაგრამ, რა კი საქმეს ხელი მოვკიდე, უნდა დამემთავრებინა. კვლავ ვეძლევდი კითხვებს და მსურდა დამეჩარებინა სიმართლის, თავისუფლების, გონიერებისა და ყოველივე იმ ნათელი წყაბა, რაც მრწამდა.

— სოციალისტებს როგორ ეპყრობით?

— სწორედ ისინი არიან ეშმაკის მსახურნი.—სწრაფად მომიგო და მუხლზე ხელი დაიკრა.—სოციალისტები სილაა ცხოვრების მანქანაში, სილა, რომელიც ყველგან აღწევს, ზლის მექანიზმის სწორ მუშაობას. კარგ მთავრობას სოციალისტები არ უნდა ჰყავდეს. ამერიკაში ისინი ინადგურიან. მაშასადამე—ვამინგტონელ ადამიანებს სულ ნათლად როი ესმით თავიანთი ამოცანები. მათ სოციალისტებს უნდა ჩამოართვან სამოქალაქო უფლებანი. ეს უკვე რამეა. მე ვამბობ — მთავრობა ცხოვრებასთან ახლო უნდა იყოს. ამისათვის ყველა წვერი მილიონერთა შორის უნდა აირჩიონ. ასე!

— თქვენ ძლიერ მთლიანი ხასიათის კაცი ხართ! — მივმართე მე.

— ო, დიახ! — დაეთანხმა და დასტურის ნიშნად თავი ჩაიქნია. ახლა მის სახეზე სრულიად გაჰქრა ყოველივე ბავშვური, და ლოყებზე ღრმა ნოეჩები გაუჩნდა.

მუურდა ხელოვნებაზე მეკითხა რამე.

— როგორ ეპყრობით... — დავიწყე, მაგრამ მან თითი ასწია და თვითონ განაგრძო:

— სოციალისტს თავში ათეიზმი აქვს, მუცელში კი — ანარქიზმი. მის სულს ეშმაკმა სიგიჟისა და გაბოროტების ფრთები შეასხა... სოციალისტების წინააღმდეგ საბრძოლველად საჭიროა ეტი რელიგია და ჯარისკაცი. რელიგია—თეიზმის წინააღმდეგ, ჯარისკაცები კი—ანარქიის ჩასაბშობად. თავდაპირველად — სოციალისტს თავი გამოუუბედეთ საეკლესიო ქადაგების ტყვეთო, თუ ამან არ განეკურნა — მაშინ ჯარისკაცებმა უნდა აუვსონ ტყვეთ მუცელი!

მან რწმენით ჩაიქნია თავი და მტკიცედ თქვა:

— დიდი ძალა ეშმაკისა!

— ო, დიახ!—ხალისით დავეთანხმე.

პირველად ვხედავდი ყვითელი ეშმაკის—ოქროს—გაელენის ძალას ასე ძკაფიოდ. მოხუცის გამხმარი, ნიკრისის ქარითა და რევატატზმით დაცხრილული ძვლები, მისი სუსტი, გამოფიტული სხეული, მთელი ეს ძველისძველი ხაბაკის მცირე გროვა ახლა აღფრთოვანებული იყო სიცრუისა და სულიერი გაბრწყინლების ყვითელი მამის ცივი და მკაცრი ნებით. მოხუცს თვალები ახალშოჭრილ ფულივით უბზინავდა, და მისი სხეული უფრო მტკიცე და შეკრული გახდა. ახლა იგი უფრო ემსგავსებოდა მსახურს, მაგრამ უკვე ვიცოდი, ვინ იყო მისი ბატონი.

— რას ფიქრობთ ხელოვნებაზე? — შეეკითხე.

შემომხედა, სახეზე ხელი ჩამოისვა და წამალა მკაცრი გაბოროტების გამომეტყველება. კვლავ რაღაც ბალღური გაჩნდა მის სახეზე.

— რა ბრძანეთ?—მკითხა მან.

— რას ფიქრობთ — მეთქი ხელოვნებაზე?

— ო! — წყნარად მომიგო.—მე კი არ ვფიქრობ მასზე, არამედ ყოდულობ მას...

— ეს ვიცი. მაგრამ, შესაძლებელია, საკუთარი შეხედულება და მოთხოვნა ქმნიდეთ მისადამი?

— ა! რა თქმა უნდა, მოთხოვნები მაქვს.. იგი გასართობი უნდა იყოს, ეს ხელოვნება,—ი რას მოვთხოოვ. უნდა გამაცინოს. ჩემს საქმეში გასაცინარი ბევრი რამ როდია. ზოგჯერ საკირთა ტვინს რაიმე დამამშვიდებელი... ხოლო ნახდახან სხეულის ენერგიის აღმაზნები რამ შეუშბაუნო. რაცა ხელოვნებას ეკრნა ან კედლებზე ქნინან, მან ადა უნდა აღგიძრას... რეკლამები საეკეთესო, ძკაფიო საოქმაებით უნდა იწერებოდეს. რეკლამამ ზორიდანვე, ერთი მილიდან ენა ჩაგვიდოს ყურში ხელი და ერთბაშად მიგიყვანოს იქ, სადაც გიწვევს. მაშინ იგი გაამართლებს ფულს. ქანდაკებანი ან ლარნაკები ყოველთვის უმჯობესია გაკეთდეს ბრინჯაოსაგან, ვიდრე მარმარილოს ან ფაიფურისაგან: მსახური ისე ხშირად ვერ გატეხს ბრინჯაოს, როგორც ფაიფურს. ძალიან კარგია მამლების ჭიდელი და ვირთაგვების წაკიდება. ეს მე ლონდონში ვნახე... ძალიან კარგია! კრივიც კარგია, მაგრამ მკვლელობა არ უნდა მოხდეს... მუსიკა პატრიოტული უნდა იყოს. მარში მოდან კარგია, მაგრამ საუკეთესო მარში ამერიკულია. ამერიკა მსოფლიოს საუკეთესო ქვეყანაა,—ამიტომაც ამერიკული მუსიკა ყველაზე უკეთესია ამქვეყნად. კარგი მუსიკა მუდამ იქ არის, სადაც კარგი ადამიანები არიან. ამერიკელები დედაბიწაზე საოკეთესო ადამიანები არიან. მათ ყველაზე მეტი ფული აქვთ. არაერთ ადამიანს ჩემ ასეთ ბედნიერ ადამიანებ ეგ ეგ ეგ

# რესპუბლიკის ერთ-ერთი მეფე

(დასასრული)

პოეტები უნდა დაიქირაონ და მაშინ დაიწერება ყველა წიგნი, რაც კი ამერიკისათვის საჭიროა... მორჩა და გათავდა.

— თქვენ რამდენადმე ვიწროდ განმარტავთ მეცნიერებას,—შევნიშნე მე.

მან თვალები მოხუჭა და ჩაფიქრდა. შემდეგ კვლავ გაახილა თვალი და ბტკივნეულ განაგრძო:

— დიახ, დიახ, მასწავლებლები, ფილოსოფოსები... ესეც მეცნიერებაა. პროფესორები, მეცნები, დანტისტები, ვიეი- ადვოკატები, ექიმები, ინჟინრები. All right. ეს საჭიროა. კარგი მეცნიერება... ცოდნა არაფერს უნდა ასწავლიეს... მაგრამ — ჩემი ქალიშვილის მასწავლებელმა ერთხელ მითხრა, სოციალური მეცნიერებაც არსებობსო... ეს მე არ მესმის. მგონია, რომ ეს მაუნგელია. კარგ მეცნიერებას სოციალისტი ვერ შექმნის. სოციალისტები სულაც არ უნდა აკეთებდნენ მეცნიერებას. მეცნიერებას, რომელიც სასარგებლო ან გასართობია, ედისონი აკეთებს, დიახ. ფონოგრაფი, კინემატოგრაფი—ეს სასარგებლოა. ნოლო რიცა ბევრი მეცნიერული წიგნია—ეს ზედმეტია. არ უნდა წაიკითხონ ისეთი წიგნები, რომელთაც შეუძლიათ გონებაში აღძრან... სხვადასხვა ეჭვი. დედამიწაზე ყველაფერი ისე მიმდინარეობს, როგორც საჭიროა... და სრულიადაც არ არის საჭიერო საქმეებში წიგნის ჩარევა.

მე ავდექი.

— ო! მიბრძანდებით?—მკითხა მან.

— დიახ!—მივუგე. — შესაძლებელია ახლა, როცა მივდივარ, თქვენ, ბოლოს, მაინც ამიხსნათ—რა აზრი აქვს მილიონერობას?

მან, პასუხს ნაცვლად, სლოკინი და ფეხების ქნევა დაიწყო. შესაძლებელია ასე იცოდა სიცილი?

— ეს ჩვეულებაა!—წამოიძახა მან და სული მოითქვა.

— რა ჩვეულება?—ვკითხე.

— მილიონერობა... ჩვეულებაა!

ჩაფეფქრდი და უკანასკნელი კითხვა მივეცი:

— თქვენ ბგონიათ, რომ მაწანწალები, ხაშაშის მწვანილები და მილიონერები ერთი რიგის მოცელნებია?

ამან, ალბათ, შეურაცხყო. თვალები დაუმრგვალდა, ნაოვლომა ისინი მწვანედ შეფუღება, და მშრალად მიპასუხა:

— მე მგონია, რომ თქვენ ცუდად ხართ ალზრდილი.

— ნახვამდე! — წარმოვთქვი მე.

თავაზიანად გამაცილა წინკარამდე. კიბის თავზე დარჩა და ყურადღებით ათვალიერებდა თავისი ჩექმების ქვინტებს. სახლის წინ სქელ, თახსბრად შეკრეჭილ ბალახს გადაეკლო მოედანი. მივაბიჯებდი მოედანზე და ვტკბებოდი აზრით, რომ ამ კაცს ვეღარ ენახავ მეთქი.

— ჰალო!—მომესმა უკანიდან.

მივბრუნდი. იგი წინკარში იდგა და მიცქეროდა.

— ერთი მითხარით, თქვენში, ეგრეპაში, ზედმეტი მეფეები არიან?—წყნარად მკითხა.

— მე მგონია, ისინი ყველანი ზედმეტი არიან!—ვუპასუხე.

მან მარჯვენე გადაფფურთხა და თქვა:

— მე ვფიქრობ, საკუთრივ დავიქირავო ერთი ფღელი კარგი მეფე, ა?

— ეგ რად გინდათ?

— იცით, სასეიროა, ვუბრძანებდი— ეი ამ ბავეართათ ერივი...

მან მოედანზე მიმითხოა სახლის წინ და კითხვით დასძინა.

— პირველი საათიდან ორის ნახევრამდე ყოველ დღე, ა? საუზმის შემდეგ სასიამოვნოა ნახეკარი საათი ხელოვნებას მოანდომო.. კარგია.

იგი სერიოზულად ლაპარაკობდა, და ეტყობოდა, ყოველ ღონეს იხმარდა, რომ თავისი სურვილი დაეკმაყოფილებინა.

— ამ მიზნისათვის მეფეები რად გინდათ?—მინდოდა გამეგო.

— ასეთი რამ აქ ჯერ არავის ჰყოლია!—მოკლედ ამიხსნა.

— კი, მაგრამ მეფეები მხოლოდ სხვისი ხელით ჩხუბობენ!—ვთქვი და წავედი.

— ჰალო!—მეორეჯერ მომაძახა.

კვლავ შევჩერდი. იგი ისევ ძელ ადგილას იდგა და ხელები ჯიბეებში ჩაეწყო. სახეზე რაღაც სოოცნები ეხატებოდა.

— რა? — შეეკითხე.

მან ტუჩები აიკაკუნა და ნელა მითხრა:

— თქვენ როგორ ფიქრობთ, ეს რა ელირება—ორი მეფე კრივისათვის, ყოველ დღე. ნახევარი საათი, სამი თვის განმავლობაში, ა?

**თარგმანი არისტო ჯუმბაძისა**

ფეხბურთი

## იწყება ბრძოლა პირველობისათვის

მეოთხე ადგილზე, — ასე არასახარბიელად დაასრულა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდმა 1948 წლის ფეხბურთის სეზონი. სსრ კავშირის თასისათვის ბრძოლაშიც ვერ გადოიჩინეს დინამოელებმა საკმაო სიმტკიცე და ოსტატობა. გუნდი ფინალშიც კი ვერ გავიდა. ცხადია, საჭირო იყო ამ დაქუცმაცებულ სათანადო დასკვნების გამოტანა.

მომდინარე წლის ფეხბურთის სეზონის მზადებასთან დაკავშირებით გუნდში სერიოზული მუშაობა გაიშალა. დინამოელები ზამთრის დღეებში იმყოფებოდნენ სასწავლო-სპორტული შეკრებაზე ბაკურიანში და გულდასმით ეუფლებოდნენ სათხილამურო სპორტს. იქ, ყინვასა და თოვლში, მიმდინარეობდა დაძაბული ვარჯიში ბაკურიანის, მოხარების, სპორტული ჩვევების განმტკიცებისათვის. ბაკურიანიდან დაბრუნების შემდეგ გუნდი გაემგზავრა გაგრის რაიონის სოფელ ლესელიძეში, სადაც ყოველდღიურ წვრთნას გადიოდა. აქვე მოეწყო პირველი ამხანაგური შეხვედრა გაგრის „დინამოსთან“. გუნდი შეხვდა სსრ კავშირის 1948 წლის ფეხბურთის ჩემპიონს „ცდას“-ს. ამხანაგური შეხვედრა დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით. თბილისის „დინამოელებმა“ ასევე დაამარცხეს ერევნის „დინამოს“ გუნდი.

დაკვირვებით ჯამდებოდა შეხვედრების შედეგები, ყურადღება ექცეოდა თამაშის თვითეულ დეტალს. ამის საფუძველზე ისახებოდა ღონისძიებები სპორტული კულტურის ამაღლებისათვის.

ეჭეს გარეშეა, გაწსაკუთრებით დაძაბული იქნება ფეხბურთის სეზონი მომდინარე წელს, თუნდაც იმიტომ, რომ თოთხმეტი გუნდის ნაცვლად, როგორც ეს იყო შარშან, წელს სსრ კავშირის პირველობისათვის ბრძოლაში მონაწილეობას მიიღებს 18 გუნდი. კალენდარული შეხვედრები მოხდება ყოველ ოთხ დღეში, რაც თვითეული ფეხბურთელისაგან მოითხოვს დიდ გამძლეობას, ენერგიას და ამასთან დიდ პასუხისმგებლობას.

ფეხბურთელთა საკავშირო შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ღირსებას დაიცავენ: შუდრა, მარტანია, კიკნაძე, ძიაპშვა, სარჯველაძე, პანიკოკი, გაგუა, პაიჭაძე, ანთაძე, ზაზროშვილი, ღოლობერიძე, მახარაძე, თოფრია, ალობაძე და სხვ., ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელებიდან — გაგნიძე, გაბუნია, ელიშვილი და სხვ. გუნდის მეწინავეებად ითვლებიან: ბერაძე, ბერიკაშვილი, ბერიძე, ბაბალიანი, ბაბალიანი, ბაბალიანი